

ხაშურის მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისიის სხდომის

ოქმი N1

ქ. ხაშური

27მარტი 2020 წელი

სხდომას უძღვებოდა: სატენდერო კომისიის თავმჯდომარე გიორგი გურასპაშვილი,  
ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი;

სხდომას ესწრებოდნენ: სატენდერო კომისიის წევრები:

- ა) ზვიად ქურდაძე - ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე /სატენდერო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;
- ბ) ზურაბ როსებაშვილი - ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე;
- გ) დავით კვიციანი - ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი
- დ) დავით ღვალაძე - ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
- ე) სერგო ლალიაშვილი - ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი;
- ვ) ლელა მაჭარაშვილი - ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი;
- ზ) თინათინ ხაჩიძე - ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების ხელმძღვანელის ფუნქციების განმახორციელებელი პირი

სატენდერო კომისიის აპარატის წევრები:

- ა) ნუნუ გოცირიძე - ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;
- ბ) ეთერ ხვედელიძე - ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული უზრუნველყოფის სამსახურის მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

**დღის წესრიგი:**

„ქალაქ ხაშურში სამუსიკო სკოლის ფასადის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვის“ (საქართველოს მთავრობის 2019 წლის 19 დეკემბრის N2661 განკარგულება) მიზნით ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე (NAT) ჩასატარებლად ელექტრონულად შევსებული სატენდერო პირობების განხილვა-დამტკიცება.

**გ ა ნ ი ხ ი ლ ე ს:**

სატენდერო კომისიის აპარატის წევრმა ნუნუ გოცირიძემ სატენდერო კომისიისა და სატენდერო კომისიის აპარატის წევრებს გააცნო ინფორმაცია დღის წესრიგის საკითხთან დაკავშირებით. აღნიშნა, რომ ზემოთ

აღნიშნული შესყიდვისთვის გათვალისწინებულია შესყიდვის განხორციელება 143 819.65 დღგ-ს გათვალისწინებით).

მან კომისიას წარუდგინა სატენდერო კომისიის აპარატის მიერ მომზადებული სისტემაში ელექტრონულად შევსებული სატენდერო პირობების პროექტი.

სატენდერო კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ სატენდერო კომისიის აპარატის მიერ წარმოდგენილი სატენდერო პირობების პროექტი შეესაბამება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანების – „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ მოთხოვნებს და ექვემდებარება გამოცხადებას.

**კომისიამ დაადგინა:**

1. დამტკიცდეს „ქალაქ ხაშურში სამუსიკო სკოლის ფასადის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვის“ მიზნით ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე (NAT) სისტემაში ელექტრონულად შევსებული სატენდერო პირობების პროექტი.
2. სატენდერო კომისიის აპარატმა უზრუნველყოს სატენდერო დოკუმენტაციის განთავსება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ელექტრონულად შევსებული სატენდერო პირობებით ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე (NAT) გამოცხადება.

აღნიშნულ საკითხს სხდომაზე დამსწრე კომისიის ყველა წევრმა მხარი დაუჭირა

კომისიის თავმჯდომარე: /გიორგი გურასპაშვილი/

კომისიის წევრები: /ზვიად ქურდაძე/

/ზურაბ როსებაშვილი/

/დავით კიკნაძე/

/დავით ღვალაძე/

/სერგო ლალიაშვილი/

/ლელა მაჭარაშვილი/

/თინათინ ხაჩიძე/

აპარატის წევრები: /ნუნუ გოცირიძე/

/ეთერ ხვედელიძე/